დადგენილება #08/2025 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული კანდიდატის - გვანცა ღვინჯილიას დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 08/2025
თარიღი: 07 აპრილი, 2025 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და სადოქტორო პროგრამების აღწერილობების განახლებული ვერსიების დამტკიცების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის #24/2024 დადგენილების დანართის 23-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტების, კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 04 აპრილის № 197 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი #2, 04.04.2025 და საარჩევნო კომისიის 04.04.2025 წლის საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი) და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის № 04 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული კანდიდატი – ხელოვნებათმცდოდნეობის დოქტორი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი გვანცა ღვინჯილია;
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე tsc.edu.ge;
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №64).
4. დადგენილება ძალაშია გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი